

© Barrio

I საერთაშორისო კონფერენცია

ო რ ი ი ბ ე რ ი ა - ევროპის ორი კარიბჭე

თბილისი, ივნისი 12-14

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი- კავკასიის უნივერსიტეტი

I საერთაშორისო კონფერენცია

ო რ ი ი ბ ე რ ი ა - ევროპის ორი კარიბჭე

მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი და უნივერსიტეტის რელიგიის მეცნიერებათა ინსტიტუტი; **ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ჰუმანიტარული ფაკულტეტის: კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, არქეოლოგიის ინსტიტუტი, აკად. შოთა ძიძიგურის სახ. ბასკოლოგიის ცენტრი და **კავკასიის უნივერსიტეტის** ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა იწყებენ განაცხადების მიღებას საერთაშორისო კონფერენციისთვის „ორი იბერია: ევროპის ორი კარიბჭე“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს „აღმოსავლეთ იბერიას“ უწოდებდნენ, ხოლო პირენეის ნახევარკუნძულზე ამჟამად მდებარე ესპანეთსა და პორტუგალიას „დასავლეთ იბერიას“. ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი სახელით „იბერიელები“ იხსენიებდა როგორც კავკასიის იბერებს, ასევე „დასავლეთ იბერებს“ (გეოგრაფია, XI, II, 19). ეს ორი, ერთმანეთისგან დაშორებული რეგიონი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა იმპერიის (რომაული, ბიზანტიური, არაბული, ოსმალური...) მიჯნაზე მდებარე ერთგვარ კარიბჭეებს მრავალი ცივილიზაციისა და კულტურის გავრცელების გზაზე. ამავდროულად, ორი იბერია განასახიერებდა ევროპის იდეის საზღვრებსაც: ანტიკურ ხანაში ბერძენთათვის და რომაელთათვის ორივე იბერია იყო ცივილიზებული, ნაცნობი სამყაროს წარმოსახვითი მიჯნა - ერთგვარი კარიბჭე უცნობი სამყაროსკენ, როგორც ამას ჰესპერიდების, ამაზონებისა და ჰერაკლეს მოგზაურობის შესახებ მითები ასახავენ.

კონფერენცია ეძღვნება კავკასიური იბერიის და ესპანური იბერიის უძველესი კულტურების შესწავლას, მათ რეცეფციას და ამ ორ კულტურათა შორის პარალელებსა და სავარაუდო კონტაქტებს. Oikoumene-ს ორი უკიდურეს წერტილს შორის კავშირის იდეა, რომელიც დამკვიდრდა ანტიკურ ხანაში, გრძელდება სხვადასხვა რეცეფციაში მე-15 საუკუნემდე, რაც ევრაზიის კულტურის ე.წ. ისტორიულ ცეზურას შეესაბამება, განსაკუთრებით - ამ პერიფერიულ ქვეყნებში. იბერიის ცნების აღქმამ უძველესი ხანიდან ამ გარდამტეხ პერიოდამდე, რომელიც აღინიშნა 1453 და 1492 წლების მოვლენებით, შეუძლია ახალი შუქი მოჰფინოს ზოგიერთი ანტიკური იდეის (მაგ. ჰერაკლეს სვეტები, ამორძალები) გადააზრებას ცვალებად პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტში

.

ეს არის **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა** და **მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის** პირველი ერთობლივი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილური თანამშრომლობის დამყარებას ამ კვლევით სფეროებში. საყურადღებოა, რომ ამ ღონისძიების ორგანიზებაში, თბილისის და მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ერთად, მონაწილეობს იღებს საქართველოს წამყვანი კერძო უმაღლესი სასწავლებელი **-კავკასიის უნივერსიტეტი.**

<u>შეთავაზებული სესიები/სექციები:</u>

1- **აღმოსავლეთ იბერია, როგორც ევროპის კარიბჭე:** მითი და ისტორია ანტიკურ ხანაში და მისი რეცეფცია;

2-**დასავლეთ იბერია, როგორც ევროპის კარიბჭე:** მითი და ისტორია ანტიკურ ხანაში და მისი რეცეფცია.

3- **ორი იბერია - კავშირი საუკუნეთა მანძილზე?** მედიტერანულ კულტურათა ისტორიულ და ენობრივ ურთიერთობათა პრობლემატიკა.

სპეციალური პრეზენტაციები, წარმოდგენები და აქტივობები:

1. ესპანური და ქართული კლასიკური ლიტერატურის თარგმანები
2. ესპანური და ქართული ორმხრივი კულტურული აქტივობები (ლიტერატურა, ცეკვა, მუსიკა, გასტრონომია...)
3. ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში
4. არქეოლოგიური ექსკურსია

<u>მთავარი მომხსენებლები (ანბანის მიხედვით):</u>

პროფ. ხუან სიგნეს კოდონერი (მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა, ესპანეთი)

პროფ. ეუხენიო ლუხან მარტინესი (მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა, ესპანეთი)

პროფ. ტიმო შტიკლერი (იენის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერმანია)

<u>**საორგანიზაციო კომიტეტი:**</u> (ანბანის მიხედვით):

<u>თავმჯდომარეები:</u>

პროფ. დავიდ ერნანდეს დე ლა ფუენტე (მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი, ესპანეთი)

ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, საქართველო)

<u>წევრები:</u>

ასოც. პროფ. ირინე დარჩია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველო)

პროფ. თეა ვარდოსანიძე (ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების პრეზიდენტი, ესპანეთი)

ფილ. დოქტორი გიორგი შალამბერიძე (თსუ ბასკოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო)

პროფ. გურანდა ჭელიძე (კავკასიის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველო)

<u>ასისტენტები:</u>

გიორგი კახიშვილი (თსუ დოქტორანტი, საქართველო)

ნანა მუქერია (თსუ დოქტორანტი, საქართველო)

ირინა ნოზაძე (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკად. შოთა ძიძიგურის სახ. ბასკოლოგიის ცენტრის უფროსი სპეციალისტი)

<u>სამეცნიერო კომიტეტი (ანბანის მიხედვით):</u>

<u>თავმჯდომარეები:</u>

პროფ. ხუან ანტონიო ალვარეს-პედროსა (მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის რელიგიის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, ესპანეთი)

აკად. პროფ. ჯაბა სამუშია (თსუ რექტორი, საქართველო)

პროფ. იზაბელ ველასკეს სორიანო (მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, ესპანეთი)

პროფ. კახა შენგელია (კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, საქართველო)

<u>წევრები:</u>

ემერიტ. პროფ. პედრო ბარსელო (ძველი ისტორიის ინსტიტუტი, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია)

პროფ. ზურაბ ბრაგვაძე (კავკასიის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საქართველო)

პროფ. ლევან გიგინეიშვილი (თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველო)

პროფ. პილარ გონსალეს კასადო (სან დამასოს საეკლესიო უნივერსიტეტის ქრისტიანული და კლასიკური ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, ენების დეპარტამენტის დირექტორი, ესპანეთი)

აკად. ემერიტ. პროფ. რისმაგ გორდეზიანი (თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, საქართველო)

პროფ. ლევან გორდეზიანი (თსუ ძველი მსოფლიოს ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველო)

პროფ. თედო დუნდუა (თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო)

პროფ. ფილიპო კარლა-უჰინკი (ძველი ისტორიის ინსტიტუტი, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია)

პროფ. ვახტანგ ლიჩელი (თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველო)

პროფ. იოჰანეს ნიჰოფ-პანაიოტიდისი (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნული და ლათინური ფილოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია)

პროფ. ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგი (იენის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის დეპარტამენტი, გერმანია)

პროფ. ტასილო შმიტი (ბრემენის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის ინსტუტი, ძველი ისტორიის მიმართულება, გერმანია)

<u>კონფერენციის მხარდამჭერი ორგანიზაციები, კვლევითი ჯგუფები და საზოგადოებები</u>

საქართველოს საელჩო ესპანეთის სამეფოში
Oficina Diplomática de España en Georgia.
ესპანეთის დიპლომატიური ოფისი საქართველოში
ქალაქ თბილისის საკრებულო
Bósforo. Grupo de investigación sobre la Antigüedad tardía y Bizancio, Universidad Complutense de Madrid

ბოსფორო- გვიანანატიკურობისა და ბიზანტიის კვლევის ჯგუფი, მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტი
Sociedad Española de Iranología
ირანოლოგიის ესპანური საზოგადოება
Instituto Cervantes de Estambul
სევანტესის ინსტიტუტი სტამბოლში
Sociedad Española de Estudios Clásicos
ესპანეთის კლასიკური კვლევების საზოგადოება (მადრიდის განყოფილება)
Sociedad Española de Bizantinística
ბიზანტინისტიკის ესპანური საზოგადოება
თსუ ბასკოლოგიის ცენტრი

<u>კონფერენციის მხარდამჭერები ინსტიტუციების სრული სია გამოქვეყნდება მომდევნო ეტაპზე</u>

განაცხადების მიღება

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ როგორც გამოცდილ, ისე ახალგაზრდა მკვლევრებსა და დოქტორანტებს.

კონფერენციის ჩატარების დრო: 2024 წლის 12-14 ივნისი

კონფერენციის ფორმატი: ჰიბრიდული

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული და ინგლისური

კონფერენციის სარეგისტრაციო განაცხადი: 150 ლარი (სტუდენტებისათვის: 75 ლარი; (ონლაინ მონაწილეებისათვის: 50 ლარი)

საკონფერენციო გადასახადი მოიცავს: საკონფერენციო მასალებს, მონაწილეობის სერტიფიკატს, ყავის შესვენებებსა და სამხარს, საზეიმო მიღებას ქალაქ თბილისის საკრებულოში, კულტურულ ღონისძიებებს.

თითოეულ მომხსენებელს დაეთმობა ნახევარი საათი (მოხსენება - 20 წთ., დისკუსია - 10 წთ.). მოხსენების თეზისები წარმოდგენილი უნდა იყოს კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე. ქართულენოვან თეზისებს თან უნდა ახლდეს თარგმანი ინგლისურად. კონფერენციის თეზისები დაიბეჭდება კრებულის სახით და განთავსდება თსუ-ს ბიბლიოთეკის რეპოზიტორიუმში, რათა მოხვდეს Google Scholar-ის ინდექსების ბაზაში.

გთხოვთ, მოხსენების თეზისები (300-600 სიტყვა) და მოკლე CV (100-150 სიტყვა) **2024 წლის 15 იანვრამდე** გაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: greekstudies@tsu.ge**.** თეზისებთან და მოკლე CV-სთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ორივე ენაზე შემდეგი ინფორმაცია მომხსენებლის შესახებ:

- სახელი და გვარი;
- დაწესებულება და თანამდებობა;
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელფოსტა);
- მოხსენების ენა;
- მონაწილეობის ფორმატი.

სამეცნიერო კომიტეტის გადაწყვეტილება კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ გეცნობებათ **2024 წლის თებერვალში**

კონფერენციის პროგრამა მომზადდება **2024 წლის მარტ-აპრილში**

კონფერენციის ინგლისურენოვანი მასალები ფარული რეცენზირების წარმატებით გავლის შემთხვევაში დაიბეჭდება უცხოეთის მაღალრეიტინგულ გამომცემლობაში, რაც დაზუსტებით გამოცხადდება კონფერენციის მიწურულს.

კონფერენციის ქართულენოვანი მასალები მასალები ფარული რეცენზირების წარმატებით გავლის შემთხვევაში დაიბეჭდება ჟურნალებში: „ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში“ და „საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“

შეკითხვებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საორგანიზაციო კომიტეტს ელფოსტაზე: greekstudies@tsu.ge